2018
30 დეკემბერი
#1

# არქეოლოგია

ARCHEOLOGIA
არქეოლოგია

ევროპის უნივერსიტეტის
აკადემიკოს ა. აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის
ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევითი ჟურნალი

# დიმიტრი ერმაკოვის წერილები გრაფინია პრასკოვია უვაროვასადმი

***ილია ნადიმაშვილი***
გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოება, საქართველო

## აბსტრაქტი

*წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია დიმიტრი ერმაკოვის ფაქსიმილური წერილები „მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების ხელმძღვანელის გრაფინია პრასკოვია უვაროვასადმი, რომლებიც ნათლად ასახავენ საქმიან ურთიერთობას ფოტოგრაფსა და „არქეოლოგიურ საზოგადოებას" შორის.*

*ჯერ კიდევ 1880-იანი წლებიდან დიმიტრი ერმაკოვი იღებდა ისტორიული და არქეოლოგიური არტიფაქტების ფოტოებს „არქეოლოგიური საზოგადოებისათვის" ცნობილი ისტორიკოსის და არქეოლოგის დიმიტრი ბაქრაძის (1826-1890) შუამავლობით, ხოლო 1892 წლიდან დ. ერმაკოვმა გააგრძელა მუშაობა საზოგადოებისათვის უშუალოდ გრაფინია პრასკოვია უვაროვას ხელმძღვანელობით.*

*დ. ერმაკოვი წერილებში მისთვის დამახასიათებელი პუნქტუალობით მოახსენებს პ. უვაროვას შესრულებული ფოტოგრაფიული სამუშაოებისა და მათი ფინანსური მხარეების შესახებ. ზოგიერთი ინფორმაცია შეეხება ისეთი უნიკალური არტეფაქტების ფოტოგრაფიერების დეტალებს, როგორიცაა ოქონის ხატი, ტბეთის და ალიშის (897წ.) ოთხთავები და ა.შ.*

*წერილებში საუბარია თბილისისა და მცხეთის ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების შესახებაც. ფართოდაა ასახული ურთიერთობა დიმიტრი ერმაკოვსა და ცნობილ მეცნიერს, საქართველოს ისტორიული და ეთნოგრაფიული საზოგადოების დამფუძნებელსა და პრეზიდენტს ექვთიმე თაყაიშვილს (1863-1953) შორის, და განსაკუთრებით მათი ცნობილი 1910 წლის სვანეთის ექსპედიციის განმავლობაში.*

*მკითხველი წერილებში შეხვდება ინფორმაციებს სხვა მეცნიერთა შესახებაც, როგორიცაა ცნობილი ლინგვისტი და კავკასიოლოგი ლევ ლოპატინსკი (1842-1922), რომელიც უცვლელი ხელმძღვანელი იყო მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა. ასევე, იმავე საზოგადოების კიდევ ერთი წევრის და სიონის საეკლესიო მუზეუმის თანამშრომელი ლევ სტანიშევსკი; ასევე, იმავე საზოგადოების წევრი და არქიტექტორი სიმონ კლდიაშვილი (1865-1920); ასევე, ერთ-ერთი შემქმნელი კავკასიის*

*ხაღხთა გამოყენებითი ხეღოვნების და ჰეწვის სახეღმწიფო მუზეუმისა თბიღისში, მხატვარი და ფოტოგრაფი იუღი სტრაუმე (1874-1970).*

*წეჰიღების ოჰიგინაღები ინახება მოსკოვის სახეღმწიფო ისტოჰიუღ მუზეუმში ჰუსეთში, ხოღო მათი მიკჰოფიღმები კი საქაჰთვეღოს ხეღნაწეჰთა ეჰოვნუღ ცენტრში.*

*მოცემუღი წეჰიღები მნიშვნეღოვან წყაჰოს წაჰმოადგენს ღიმიტრი ეჰმაკოვის შემოქმეღების მკვეღევაჰთათვის და ფაჰთო ღაინტეჰესებუღი პიჰებისათვის.*

**საკვანძო სიტყვები:** დიმიტრი ერმაკოვი, გრაფინია პრასკოვა უვაროვა, წერილები, ოქონის ხატი, ტბეთის სახარება

## შესავალი

დიმიტრი ერმაკოვის საავტორო ფოტოანაბეჭდებისგან განსხვავებით, რომლებიც ათასობით არის შემონახული საქართველოს და მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებში და კერძო კოლექციებში, მისი ხელნაწერი წერილები ძალიან ცოტაა გადარჩენილი სრულიად გასაგები მიზეზით.

ჯერჯერობით მიკვლეულია დ. ერმაკოვის 10 ფაქსიმილური წერილი მოსკოვში სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში. წერილების ადრესატია მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე გრაფინია პრასკოვია უვაროვა. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება ამ წერილების მიკროფილმები (იხ. პრასკოვია უვაროვას ფონდი N 62, 63, 64, 65, 66, 67,68, 69,70, 71).

ცნობილია, რომ დ. ერმაკოვი ხშირად ასრულებდა „მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების“ და მისი თავმჯდომარის გრაფინია პ. უვაროვას დავალებით ისტორიული, არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლების და იქ დავანებული საეკლესიო ნივთების და წიგნების ფოტოგრაფიულ ფიქსაციას. სწორედ ამ ფოტოფიქსაციასთან დაკავშირებული თანამშრომლობის ფაქტებს ასახავს დ. ერმაკოვის ფაქსიმილური წერილები.

წერილებში მოხსენიებული არიან მეცნიერები: დიმიტრი ბაქრაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ლევ ლოპატინსკი და სხვ.

წერილები დაწერილია 1892 და 1911 წლებს შორის. ზოგიერთი შესრულებულია დ. ერმაკოვის სატიტულო ფურცელზე.

წერილები საკმაოდ ლაკონურია, რაც მათი საქმიანი ხასიათითაა განპირობებული. დ. ერმაკოვი მისთვის დამახასიათებელი სიზუსტით მოახსენებს პ. უვაროვას შესრულებული ფოტო სამუშაოების და მათი ფინანსური მხარეების შესახებ, რაც თავისთავად უტყუარი და მნიშვნელოვანი ცნობებია.

ჩვენს მიერ შესწავლილი ათივე წერილი შესრულებულია დიმიტრი ერმაკოვის მიერ გაკრული ხელით, რაც მეტ-ნაკლებად ართულებდა ტექსტის ზუსტ წაკითხვას.

მიუხედავად ამისა, დ. ერმაკოვის კალიგრაფიის შედარებითი ანალიზის საფუძველზე ჩვენს მიერ მოხერხდა ყველა წერილის სრული ამოკითხვა.

მკითხველს წერილებს ვთავაზობთ უმნიშვნელო ცვლილებებით, თანამედროვე რუსული ენის გრამატიკული ნორმების გათვალისწინებით.

**Ваше Сиятельство,**

При жизни Д.З. Бакрадзе, много было сделано по его поручению для Вашего Сиятельства фотографических снимков с древних находок, кажется в Сухум Кале, изображавших бронзовые предметы. Не припомню хорошо, почему часть предметов этих осталось у меня, а именно:

1. Бронзовое ко(п)ъё
2. «--------» ятагань
3. рукоятка сабли
4. глиняный горшок

За высланные Вашему Сиятельству снимки мне следовало получить 18 руб., которых я не получил.

Доводя до Вашего сведения об имеющихся у меня предметах древности, прошу приказать к(ому) их передать, или выслать.

А такъ же, от кого могу по(лу)чить следуемые мне 18 (руб.).

С истинным почтением и таковою же преданностью
Имею Честь быть Вашего
Сиятельства покорной слугой

*25го января (18)92 г.*
*Д. Ермаков Тифлись*

*Тифлись, Марта 15 дня 1905 г.*

**Ваше Сиятельство,**
**Милостивая Государыня**
**Прасковья Сергеевна!**

Высланные Вам г. Такаишвили, Оконский образъ и Тбетское евангелие, те самые, которые я должен был выслать Вам. Он взял у меня с тем, что бы сделать описания и вернуть обратно мне. Но, почему то он предпочел выслать Вам.

На лето у меня есть приглашение архитекторов. Но, так как от Вас не имею ответа относительно моей командировки, я не смею ее принять, а потому покорнейше прошу Ваше Сиятельство не отказать уведомить меня состоится ли моя командировка?

С совершенным почтением
Д. Ермаков

*Тифлись, Марта 26 дня 1905 г.*

**Ваше Сиятельство,**
**Милостивая Государыня**
**Прасковья Сергеевна!**

Желая услужить Вам, я посылаю еще одну коллекцию из 22 снимков – Оконский образ и Тбетское евангелие. Еще раз повторяю, г. Такаишвили взял у меня 22 снимка для описания и должен был их вернутъ мне для отправки Вашему Сиятельству. Почему он отправил снимки сам, а не передал мне, как это было условлено, когда он брал их от меня, я не умею Вам сказать. Деньги за снимки Оконского образа и Тбетского евангелия я получил, но только за первые снимки, а за посланные не получал и не знаю кому их поставить в счет?

*С совершенным почтением,*
*Д. Ермаков*

*Тифлись, Мая 24 дня 1907 г.*

**Ваше Сиятельство,**
**Прасковья Сергеевна!**

Имею честь сообщить Вам, что уже заказанные Вами снимки я сделал, как в Тифлисе в Метехском замке, церковь, равно и Мцхетские три церкви. Осталось снять в церкви Пресвятого Креста на скале против Мцхета, три иконы на алтарной стене для которых мне нужно сделать леса, так как они (находятся) очень высоко. Не откажите выслать обещанный 27го прошлого апреля аванс в сто руб.

Не найдете ли Ваше Сиятельство возможным отпустить мне 500 руб. на поездку с г. Такаишвили в Тортумский округ, куда он выезжает 1го июля.

За эти деньги я обещаю Вам привезти 200 снимков. Я уже был там 20 лет тому назад, когда был еще мокрый способ фотографирования. Эти три церкви Эешкъ Ванкъ, Хахо Ванкъ и Ишхан Ванкъ, это что то особенное, как по архитектуре, так же и (по) орнаментам высшей степени красивый. Их нужно снять детально, я уверен что снимков придется сделать до 300. Вам каждая стоимость обойдется по 2 р. 50 к. Зная всю пр(елесть) этих снимков, я охотно в Тифлисе закрою свою фотограафию на полтора месяца. По получению моего письма, если Вы прими(те) мое предложение, прошу Вас телеграфировать мне Ваше согласие, дабы я мог ра(спо)рядится заранее приготовиться к отъезду.

*С совершенным почтением*
*Д. Ермаков*

*Тифлисъ, Сентябрь 22 дня 1910 г.*

**Императорскому Археологическому обществу в Москве**

Имею честь сообщить, что нынешним летом, Е.С. Такаишвили, Архитектор С.Г. Клдияшвили и я совершили путешествие по Сванетии где снято много церквей, образов, церковной утвари, виды, типы, древности; а так же Адышское евангелие девятого века (на пергаменте). Снято оно начиная с переплета и все страницы, которых в евангелие 400. Величина пластинки 18х24 сант. Кроме всех снимков сняты много все(го) находящиеся в церкви Квирике и Ивлиты о(бра)за и церковная утварь.

Доводя до Вашего сведения о нашем пр(ебы)вании в Сванетии, где снято более тысячи с(ним)ков, есть между ними такие, которые фотографированы впервые. Величина снимко(в) есть 24х30, 18х24, 15х21, 13х18 сан. Все они очень удачные.

*С совершенным почтением*
*Д. Ермаков*

*Тифлись, Ноября 14 дня 1910 г.*

**Ваше Сиятельство,**
**Милостивая Государыня**
**Прасковья Сергеевна!**

Сегодня выслал 12 миниатюр, которые Вы поручили мне снять в Сионском музе(е). При всем прилагаю счет и покорнейше прошу приказать выслать мне следуемые деньги, по возможности не задерживая их.

В счет я добавил один снимок, который я забыл внести в первый счет.

Это были два рисунка, из которых один я переснял, а другой, Ваше Сиятельство приказали снять.

*С совершенным почтением*
*Д. Ермаков*

*Тифлись, Декабрь 1 дня 1910 г.*

**Ваше Сиятельство,**
**Милостивая Государыня**
**Прасковья Сергеевна!**

Вчера отправил Вашему Сиятельству письмо, относительно возможной по Вашему усмотрению увеличению цены за высланные мною снимки Адышского евангелия, а сегодня получил Ваше письмо о высылке (мною) видов Эриванского Сардаровского Дворца, которые и высылаю.

Пользуясь случаем, еще раз позволяю себе повторить мою покорнейшую просьбу выраженную во вчерашнем моем письме.

*С совершенным почтением*
*Д. Ермаков*

Большой – – ---------- – – 80 к.
Малый – – ---------- – – 60 к.
– – -------
1р. 40 к.

P.S. Посылаю снимки Сардаровского Дворца в Эриване, один, как это было в старину с спускающими ..., а другой, в том виде, как он теперь.

*Тифлись, Января 28 дня 1911 г.*

**Ваше Сиятельство,**
**Милостивая Государыня**
**Прасковья Сергеевна!**

Сегодня высылаю Ваш заказ, который задержался не по зависящим от меня обстоятельствам.

№517 евангелие находится в соборе. Я совершил все формальности, чтобы получить его, но к сожалению, одного из членов, г. Станишевского нет в городе, а без него нельзя вскрыть сундук, где имеется его печать. Как только он приедет, я не медля сделаю два снимка, которые не достают для дополнения вашего заказа.

*С совершенными почестиями*
*Д. Ермаков*

*Тифлись, Февраль 14 дня 1911 г.*

**Ваше Сиятельство,**
**Милостивая Государыня**
**Прасковья Сергеевна!**

Приношу Вам мою глубокую благодарность за высланные мне деньги через Л.Г. Лопатинского, которые я получил. При сем посылаю два снимка из Евангелия №517. В январь 28го я выслал Вам снимки и счет на 58 р. 40 к., за два высылаемых сегодня 6 руб., и того 64 р. 40 коп., которых покорнейше прошу выслать мне.

Высланные 30 января 10 больших и 16 малых негативов надеюсь получили в целости. Так как они внесены в мои каталоги, то прошу по окончании их надобности прислать мне.

Ваше Сиятельство, позвольте Вам рекомендовать художника Юлия Карловича Стр(а)уме. Он замечательно копирует всевозможные митиатюры и заглавные буквы из Евангелия. Он может быть в Эчмиадзине, где сделал несколько копии армянских заглавных букв, дивно хорошо. Он служил в Кавказском Кустарном отделе и все его работы принадлежат отделу. Ефимий Семенович обещал дать ему для пробы миниатюру из Евангелия, которую как образец его работы вышлем Вам. Надеюсь, что Вы как знаток таких работ, оцените его.

*С совершенными почтениями*
*Д. Ермаков*

*Тифлись, Март 3 дня 1911 г.*

**Ваше Сиятельство,**
**Милостивая Государыня**
**Прасковья Сергеевна!**

Вчера выслал Вам работу художника Ю.К. Страуме, а так же список имеющихся у него в этом роде рисунков. Каждый рисунок он считает по 15 руб. в красках, а которые без красок по 10 руб. Таковых рисунков он Вам повысылал. Смею надеяться, что Ваше Сиятельство не будете мною недовольны за мою рекомендацию.

Если они Вам не пригодятся, покорнейше прошу Вас приказать выслать их мне обратно.

Высланные деньги я получил. Приношу мою благодарность.

*С совершенным почестиями*
*Д. Ермаков*

## კომენტარები

დიმიტრი ერმაკოვის პირველივე წერილიდან ირკვევა, რომ იგი 1892 წლამდეც ანხორციელებდა ფოტოგადაღებებს გრაფინია პრასკოვია უვაროვასთვის, ცნობილი ისტორიკოსის, არქეოლოგის და ეთნოგრაფის დიმიტრი ბაქრაძის დაკვეთით.

დ. ბაქრაძე 1892 წლისათვის უკვე ორი წლის გარდაცვლილი იყო და, ამიტომ, დ.ერმაკოვი უშუალოდ დაუკავშირდა პ. უვაროვას (თუმცა წყვეტის ინტერვალი საკმაოდ დიდია) და მოახსენა მასთან დაცული არქეოლოგიური არტეფაქტების და მათი ფოტოების შესახებ. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს უფრო საბაბი იყო პ. უვაროვასთან და მოსკოვის საიმპერატორო საზოგადოებასთან თანამშრომლობის აღდგენისათვის. როგორ გადაწყდა ამ წერილში აღნიშნული პრობლემები ჩვენთვის უცნობია, რადგანაც შემდეგი წერილი უკვე 1905 წლითაა დათარიღებული. მასში საუბარია ოქონის ხატისა და ტბეთის სახარების შესახებ. ამ რელიქვიების ფოტოგადაღებასთან დაკავშირებით აშკარად შეინიშნება დაძაბული ურთიერთობა დ. ერმაკოვსა და ე. თაყაიშვილს შორის, რომელიც შემდეგშიც თავს იჩენდა ხოლმე დროდადრო.

უნდა ითქვას, რომ ოქონის ხატის იდენტიფიკაციისათვის კვლევა-ძიებას აწარმოებდა ბევრი მეცნიერი: მარი ბროსე, დიმიტრი ბაქრაძე, მოსე ჯანაშვილი, პრასკოვია უვაროვა და სხვა. ცნობილია ოქონის ოთხი ხატი პ. უვაროვას მიერ გორში, ოქონის ღვთი(სმ)შობლის ეკლესიაში ნახული ხატი, რომელიც წარმოადგენს ფერწერულ ტრიპტიხს დეისუსის გამოსახულებით; გორის მაზრის სოფელ ოქონაში, ახალ ეკლესიაში პ. უვაროვას მიერ ნახული ღვთისმშობლის ჭედური ხატი ქართული მხედრული წარწერით და იქვე, მესამე ხატი, სპილოს ძვალზე ინკრუსტრირებული ტრიპტიხი შუა კარედზე დეისუსის გამოსახულებით. ეს მესამე ხატი მიიჩნია პ. უვაროვამ ნამდვილ, ბიზანტიურ ხატად[1]. მეოთხე ხატი – ოქონის ჯვარცმა, ასევე ჭედურია და შემკულია ძვირფასი ქვებით და წმინდა ნაწილების უჯრებით. ე. თაყაიშვილმა კვლევა-ძიების შემდეგ, აღნიშნული ოქონის ჯვარცმა მიიჩნია დედოფალ ელენესეულ ხატად, რომელიც მას XI საუკუნეში ბიზანტიიდან საქართველოში მზითვად ჩამოუტანია და სწორედ ამ ოქონის ჯვარცმის ერმაკოვისეული ფოტოები გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა[2].

ასევე მნიშვნელოვანი კვლევა-ძიება ჩაატარა დ.ერმაკოვის ფოტოების მიხედვით ე. თაყაიშვილმა ტბეთის სახარების შესწავლისათვის და მიიჩნია, რომ იგი შავშეთის (ამჟამად თურქეთის ტერიტორია) ტბეთის ეპისკოპოსის იოანე მტბევარის დაკვეთით გადაწერა იოანე ფუკარალის ძემ გიორგი III-ის მეფობის დროს, სავარაუდოდ 1161 წლის შემდეგ. ე. თაყაიშვილმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ტბეთის სახარების ჭედური ყდა დამზადებულია ოქრომჭედლების ბეშქენ და ბექა ოპიზარების მიერ, რომლებიც თავის მხრივ მან მამა-შვილად ჩათვალა[3].

ოქონის ხატისა და ტბეთის სახარების ფოტოგადაღება დ. ერმაკოვმა თბილისში განახორციელა. ცნობილია, რომ ეს რელიქვიები 1724 წელს მეფე ვახტანგ VI-მ რუსეთში ემიგრირებისას წაიღო სხვა საგნძურთან ერთად და მხოლოდ 1889 წელს დაბრუნდა

1 Материалы по Археологии Кавказа (МАК), вып. IV, Москва, 1894 г., стр. 172.

2 МАК, вып. XII, Москва, 1909 г., стр. 117-172.

3 МАК, вып. XII, Москва, 1909 г., стр. 151-162; ოქონის ხატისა და ტბეთის სახარების შესახებ იხილეთ ასევე ე. თაყაიშვილის წერილები პ. უვაროვასადმი. ორიგინალები დაცულია მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმში, ხოლო მიკროფილმების სახით კი საქართველოს სახელმწიფო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში პ. უვაროვას ფონდში (N101, N102, N103).

უკან საქართველოში, ვახტანგ VI-ის შვილთაშვილის ანა ტოლსტაიას მეოხებით და ბინა დაიდო მცხეთაში სამთავროს დედათა მონასტერში. 1905 წლისათვის, როდესაც ისინი დ. ერმაკოვმა ფოტოებზე აღბეჭდა, რელიქვიები დროებით მიბარებული ჰქონდა თავად-აზნაურთა გიმნაზიის კომიტეტს, გიმნაზიის ეკლესიისათვის შემდგომ (აშენების შემდეგ) გადასაცემად[4].

ამჟამად ოქონის ჯვარცმის ხატი ინახება საქართველოს ხელოვნების ეროვნულ მუზეუმში, ხოლო ტბეთის სახარება კი საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

შემდეგ (მეოთხე) წერილში დ.ერმაკოვი ჩამოთვლის იმ ისტორიულ ძეგლებს, რომელთა ფოტოგადაღებაც შეასრულა პ. უვაროვას დავალებით 1907 წელს თბილისში და მცხეთაში. ასევე, დ.ერმაკოვი ატყობინებს პ.უვაროვას ე.თაყაიშვილის მოსალოდნელი ექსპედიციის შესახებ თურქეთში, თორთუმის ხეობაში (კოლა-ოლთისში). როგორც ცნობილია, დ. ერმაკოვი ამ მხარეში ადრეც იმყოფებოდა და მოხიბლული იყო ოშკის, ხახულის და იშხანის არქიტექტურული სილამაზით და სურდა მათი დეტალური ფოტოფიქსაცია.

ე. თაყაიშვილის ხელმძღანელობით ექსპედიცია კოლა-ოლთისში შედგა 1907 წელს და მიმდინარეობდა 1 ივლისიდან 20 აგვისტომდე. ექსპედიციის დამფინანსებელი მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოება და მისი თავმჯდომარე პ. უვაროვა გახლდათ. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო ექსპედიციის ფოტოგრაფად არა ცნობილი და გამოცდილი დ. ერმაკოვი იქნა მიწვეული, არამედ მოყვარული ფოტოგრაფი, თბილისის ვაჟთა მე-2 გიმნაზიის ფრანგული ენის მასწავლებელი ედუარდ ლიოზენი[5].

სავსებით ცხადია, რომ ეს არჩევანი ფინანსური პრობლემების გამო გაკეთდა. დ. ერმაკოვი ამ პერიოდისთვის უკვე საყოველთაოდ აღიარებული პროფესიონალი იყო და, შესაბამისად, ძვირადღირებულიც. მაგრამ, არ არის გამორიცხული, რომ მისი არ მიწვევა სხვა (პირადი) მოტივებითაც ყოფილიყო გამოწვეული.

აქვე უნდა ითქვას, რომ ედუარდ ლიოზენი საქართველოს ისტორიით და, განსაკუთრებით, ქართული ენის შესწავლით იყო ძალიან გატაცებული. იგი არჩეული იყო მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების ნამდვილ წევრად, რომლის სხდომებშიც იგი მუდმივად იღებდა აქტიურ მონაწილეობას. ე.ლიოზენმა კოლა-ოლთისის ექსპედიციაში დაკისრებულ მოვალეობას თავი წარმატებით გაართვა და 100-მდე ფოტო გადაიღო[6].

აღსანიშნავია, რომ 1907 წლის 28 მაისს (აქტი N35) დ. ერმაკოვი აირჩიეს „მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების“ ნამდვილ წევრად[7]. საინტერესოა, რომ იმავე სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდენენ ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, მოსე ჯანაშვილი და სხვები, საზოგადოების წევრებად არჩეული იქნენ ასევე ცნობილი ენათმეცნიერი კორნელი კეკელიძე და არქიტექტორი სიმონ კლდიაშვილი. საინტერესოა ასევე ის ფაქტიც, რომ დ. ერმაკოვი წევრობის კანდიდატად წარდგენილი იქნა წინა სხდომაზე 1907 წლის 11 იანვარს, რომელსაც ესწრებოდა თვით პრასკოვია უვაროვა, როგორც მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე[8]. ცხადია, რომ დ. ერმაკოვს მჭიდრო, საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა პ. უვაროვა-

4 МАК, вып. XII, Москва, 1909 г., стр. 162.
5 ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედეცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს. პარიზი, 1938, გვ. 4.
6 ე. თაყაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 7.
7 Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества (ИКОМАО), вып. III, Тифлис, 1913 г., протокол №35, стр., 20.
8 ИКОМАО, вып. III, Тифлис, 1913 г., протокол №34, стр., 20.

სთან და ამ უკანასკნელმა მშვენივრად იცოდა დ. ერმაკოვის შემოქმედებითი ღვაწლის შესახებ და, შესაბამისად, მიიღო გადაწყვეტილება პირადად წარედგინა იგი „საზოგადოების“ წევრობის კანდიდატად. აქვე უნდა ითქვას, რომ განსხვავებით ედუარდ ლიოზენისა, რომელიც ბეჯითად და მუდმივად ესწრებოდა „საზოგადოების“ ყველა სხდომას, დ. ერმაკოვი იშვიათად მიდიოდა ამ სხდომებზე. ცნობილია სულ სამი შემთხვევა დ. ერმაკოვის მონაწილეობისა „საზოგადოების“ კავკასიის განყოფილების სხდომებში, როგორც ამ საზოგადოების ნამდვილი წევრისა: 1910 წლის 9 ოქტომბრის სხდომაზე[9], 1911 წლის 29 იანვრის სხდომაზე[10] და 1915 წლის 16 აპრილის სხდომაზე[11].

ასეთი პასიური დასწრება ალბათ განპირობებული იყო დ. ერმაკოვის მოუცლელობით და მისი მუდმივი მოგზაურობით.

მოგვიანებით, 1910 წელს დიმიტრი ერმაკოვის და ექვთიმე თაყაიშვილის ერთობლივი ექსპედიცია მაინც შედგა, მაგრამ ამჯერად უკვე ლეჩხუმ-სვანეთში. ე. თაყაიშვილი წერდა: „ექსპედიციაში მოვიწვიე მთელს კავკასიაში კარგად ცნობილი ფოტოგრაფი დიმიტრი ერმაკოვი“[12]. ძვირადღირებული ფოტოგრაფის სვანეთის ექსპედიციაში მიწვევა შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ ექსპედიციის ხარჯები მთლიანად დაფარა ცნობილმა მეცენატმა, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალმა პავლე თუმანიშვილმა[13], რომლის ინიციატივითაც იყო ერმაკოვი შერჩეული.

ლეჩხუმ-სვანეთის 1910 წლის ექსპედიცია მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა და დ. ერმაკოვის მიერ მისივე ცნობით 1000-ზე მეტი ფოტო იქნა გადაღებული არქიტექტურული და ისტორიული ძეგლები, ტიპაჟები, პეიზაჟები და სხვა. ამავე ექსპედიციის დროს დეტალურად, ფურცელ-ფურცელ (400 გვერდი) იქნა გადაღებული ცნობილი ადიშის ოთხთავი (897წ.), სულ 200 ფოტო[14].

ადიშის სახარების ფოტოგადაღებასთან დაკავშირებით ე. თაყაიშვილი საინტერესო ცნობას იძლევა – თურმე ექსპედიციის წევრები, რომლებიც დაბანაკებული იყვნენ მესტიაში, სოფელ ადიშში ვერ ასულან, რადგანაც მოულოდლენად ზაფხულში დიდი თოვლი მოსულა. ე. თაყაიშვილის თხოვნით სვანებს სახარება მესტიაში ჩამოუტანიათ, რაც თავისთავად არაორდინარული ფაქტია, ვინაიდან სვანები ერიდებოდნენ რელიქვიების ადგილმონაცვლეობას. ასე და ამგვარად, სწორედ მესტიაში შეუსრულებია ადიშის ოთხთავის ფოტოგადაღება დ. ერმაკოვს[15]. ადიშის ოთხთავი ამჟამად ინახება მესტიის სახელმწიფო მუზეუმში.

ცალკე თემაა ე. თაყაიშვილისა და დ. ერმაკოვის ურთიერთობა, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივად გრძელდებოდა და ხშირად დაძაბულადაც მიმდინარეობდა. 1905 წელს ოქონის ხატის და ტბეთის სახარების ფოტოებთან დაკავშირებულმა უთანხმოებამ დ. ერმაკოვსა და ე. თაყაიშვილს შორის, თავი იჩინა 1910 წლის სვანეთის ექსპედიციის დროს. გულნატკენი ექვთიმე მოგვიანებით ნიკო მარს წერდა: „დიდი შრომა გამოვიარე. უჩემოთ არავის ეკლესიაში არ შეუშობდნენ. ერმაკოვის მიზეზობას და „პრეტენ-

9 ИКОМАО, вып. III, Тифлис, 1913 г., протокол №53, стр., 47.
10 ИКОМАО, вып. III, Тифлис, 1913 г., протокол №55, стр., 50.
11 ИКОМАО, вып. IV, Тифлис, 1915 г., протокол №74, стр., 11.
12 ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937 წ., გვ. 3.
13 ე. თაყაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 3.
14 МАК, вып. XIV, Москва, 1916 г.
15 ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. პარიზი, 1937 წ., გვ. 4; ადიშის სახარების შესახებ იხილეთ ასევე ე. თაყაიშვილის წერილები პ. უვაროვასადმი, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მიკროფილმების სახით დაცული უვაროვას იმავე ფონდში N105, N123, N124, N127.

ზიას“ საზღვარი აღარ ჰქონდა, სამჯერ ისეთი სკანდალი მოახდინა, რომ კინაღამ მოკლეს. მე დავაშოშმინე სვანები... მასალა დიდძალი შევკრიბე. ეხლა ერმაკოვი მე კი არ მაძლევს სურათებს, უნდა კიდევ ბევრი ფული დასტყუოს თუმანოვს და ჩემი მოსაცემი სურათების ფული მას გადაახდევინოს, სხვებზე კი სურათებს ყიდის“.[16]

განსაცვიფრებელია ცნობა იმის შესახებ, რომ დ. ერმაკოვი სვანეთის ექსპედიციაში მოუმზადებელი წასულა, თუმცა იგი წინასწარ იყო გაფრთხილებული ე. თაყაიშვილის მიერ მოსალოდნელი სირთულეების შესახებ. კერძოდ, რომ სვანეთის პატარა ეკლესიებში შიდა გადაღებებისთვის მცირე ზომის ფოტოკამერა და სპეციალური ფოტოობიექტივის წაღება იყო საჭირო. ლატალის თემის სოფელ მაცხოვრის ეკლესიაში მუშაობასთან დაკავშირებით ე. თაყაიშვილი წერდა: „ფოტოგრაფიულად გადმოღება ფრესკების შეუძლებელი იყო, ვინაიდან შესაფერისი აპარატები არ ჰქონდა ერმაკოვს“[17]. ასევე საკვირველია ცნობა იმის შესახებ, რომ დ. ერმაკოვს სვანეთის ექსპედიციაში წაუღია ზომით დიდი ნეგატივების „პლასტინკები“, რომლებიც მის კამერაში არ ეტეოდა და იგი იძულებული იყო დიდი ჯაფის ფასად ხერხით დაეპატარავებინა ისინი[18].

მიუხედავად სირთულეებისა, 1910 წლის ლეჩხუმ-სვანეთის ექსპედიცია წარმატებით ჩატარდა და უდიდესი და უმნიშვნელოვანესი მასალა იქნა მოპოვებული.

შემდეგ (მეექვსე) წერილში დ. ერმაკოვი აღნიშნავს სიონის საეკლესიო მუზეუმში დაცული მინიატურების ფოტოგადაღებების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ეს მუზეუმი შექმნილი იყო ქართველი მეცნიერების დიმიტრი ბაქრაძის და მოსე ჯანაშვილის ინიციატივით.

მეშვიდე წერილში საუბარია ისევ ადიშის ოთხთავის ფოტოების ანაზღაურებაზე. როგორც ჩანს, ვინაიდან 200 ფოტოზე მეტი იქნა გადაღებული ადიშის სახარებისა, პ.უვაროვამ აღუთქვა დ. ერმაკოვს ანაზღაურება პუბლიკაციისათვის. სამწუხაროა, რომ ეს წერილი, ანუ წინადღის – 30 ნოემბრის წერილი არ არის შემონახული.

დ. ერმაკოვი ასევე ახსენებს ერევნის სარდარის სასახლის ფოტოებს, რომელთა საფასური-80 კაპიკი დიდში და 60 კაპიკი პატარაში საკმაოდ დაბალი ფასი იყო, რადგანაც დ. ერმაკოვი ჩვეულებრივად ფოტოებს 1,5-2 მანეთად და უფრო ძვირადაც ჰყიდდა. ე. თაყაიშვილი ნ. მარს წერდა: „ხანძთელის სურათი შესანიშნავად კარგად გავაკეთებინე. როინოვის ფოტო ეხლა აღარ არის, ერმაკოვს გადავაღებინე და ძვირათ გადაიღო, ორ-ორ მანეთად თითო“.[19]

შემდეგ (მერვე) წერილში დ. ერმაკოვი N517 სახარების ფოტოგადაღებასთან დაკავშირებით მოიხსენიებს ივანე სემიონოვის ძე სტანიშევსკის, რომელიც მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების ნამდვილი წევრი იყო. N517 სახარება ამჟამად ინახება საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში[20].

---

16 ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერა (1888-1931 წწ.). თბილისი, 1991 წ., გვ. 246. ეს წერილი (N146) თარიღის გარეშეა გამოქვეყნებული. იგი დაწერილი უნდა იყოს 1910 წლის 4 ნოემბრის შემდეგ, რადგანაც ე. თაყაიშვილი ახსენებს – ,,უვაროვას ქალი ეხლახან აქ (თბილისში, ი.ნ.) იყო“-ო. გრაფინია უვაროვა ნამდვილად იყო თბილისში 1910 წლის 4 ნოემბერს და ესწრებოდა მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების სხდომას საჯარო ბიბლიოთეკის შენობაში (იხ. протокол №54 ИКОМАО, вып. III, 1913 г., стр. 49). წერილი დაწერილია არა უგვიანეს 1910 წლის 10 დეკემბრისა, რადგანაც 10 დეკემბრითაა დათარიღებული ნიკო მარის პასუხი ე. თაყაიშვილის აღნიშნულ წერილზე.

17 ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937 წ., გვ. 351.

18 ე. თაყაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 3.

19 ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერა, თბილისი, 1991 წ., გვ. 193.

20 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, II2., ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, თბილისი, 2004 წ., გვ. 87-89.

შემდეგ (მეცხრე) წერილში დ. ერმაკოვი მოიხსენიებს ცნობილ ენათმეცნიერს და კავკასიოლოგს ლევ გრიგორის ძე ლოპატინსკის. იგი თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ლევ ლოპატინსკი დღიდან დაარსებისა ანუ 1901 წლის 21 მარტიდან იყო უცვლელი თავმჯდომარე მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა. მისი საერთო რედაქტორობით გამოვიდა შრომათა კრებულის ხუთი ტომი[21], რომლებიც ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენენ კავკასიის ისტორიით დაინტერესებული მეცნიერებისთვის და ფართო საზოგადოებისათვის.

ამავე მეცხრე წერილში დ. ერმაკოვი მოიხსენიებს ამ პერიოდისთვის სრულიად უცნობ მხატვარ იული კარლის ძე სტრაუმეს, რომელიც, როგორც დ. ერმაკოვი აღნიშნავს, საკმაოდ კვალიფიცირებული და ნიჭიერი იყო. როგორც ჩანს, დ. ერმაკოვს ე. თაყაიშვილისთვისაც წარუდგენია სტრაუმე, რომელსაც, თავის მხრივ, საცდელად მიუცია მინიატურები გადასახატავად.

შემდეგში იული სტრაუმეს წილად ხვდა შეესრულებინა უზარმაზარი სამუშაო კავკასიის ხალხთა შემოქმედების აღნუსხვა-ჩახატვაში და „კავკასიის ხალხთა გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის“ თბილისში შექმნაში[22]. ამჟამად თბილისში, ხალხური გამოყენებითი ხელოვნების მუხეუმში ინახება იული სტრაუმეს მიერ შესრულებული კავკასიური ხალიჩების და სხვა ნაწარმის პირი-ნახატები ორ ალბომად. იული სტრაუმე წარმოშობით ლატვიელი იყო და 1921-1922 წლებში ჰქონდა პატივი ყოფილიყო საქართველოში ლატვიის ვიცე-კონსული[23].

ბოლო, მეათე წერილში დ. ერმაკოვი ისევ იული სტრაუმეს უწევს რეკომენდაციას პ. უვაროვას წინაშე. უნდა ვიფიქროთ, რომ დ. ერმაკოვს სტრაუმესთან ახლო, მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა და ძალიან იყო მოწადინებული მისი შრომითი მოწყობით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სტრაუმეს მატერიალურად ძალიან უჭირდა, განსაკუთრებით ახალგაზრდა ფრანგი მეუღლის შენახვა და დამატებითი შემოსავალი მისთვის ჰაერივით საჭირო იყო[24].

განხილული წერილებიდან ირკვევა, რომ დ. ერმაკოვს აქტიური საქმიანი ურთიერთობა ჰქონია პრასკოვია უვაროვასთან და „მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიურ საზოგადოებასთან“ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან დ. ბაქრაძის საშუალებით, ხოლო 1892 წლიდან კი უშუალოდ. წერილებში შეინიშნება დ. ერმაკოვის ორგანიზაციული ნიჭი და პასუხისმგებლობის (თუმცა ყოველთვის არა) გრძნობა – იგი ჩვეული პედანტობით ყოველ წერილში ატყობინებდა გრაფინია პრასკოვია უვაროვას შესრულებული სამუშაოების და მათი ღირებულების შესახებ.

დიმიტრი ერმაკოვი საკმაოდ ძვირადღირებული და სიცოცხლეშივე ძალიან ცნობილი ფოტოგრაფი იყო. ამაზე მეტყველებს მის მიერვე 1896 და 1901 წლებში გამოცემული თავისი ფოტოკოლექციების კატალოგები, რომელთა საშუალებითაც იგი ანხორციელებდა თავის ბიზნესს[25].

---

21 Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества, Тифлис, вып. I (1904 г.), вып. II (1907 г.), вып. III (1913 г.), вып. IV (1915 г.) вышли под общей редакцией Л.Г. Лопатинского и Е.С. Такаишвили; вып. V (1919 г.) вышел под общей редакцией Л.Г. Лопатинского и Л.М. Меликсет-Бекова, и последний выпуск VI (1921 г.) под общей редакцией Л.М. Меликсет-Бекова и Д.П. Гордеева.

22 დაწვრილებით იული სტრაუმეზე იხილეთ – ლაიმა კლავინა, იული სტრაუმე, 2004 წ., გამომცემლობა ”ZINĀTNE”, რიგა, ლატვია.

23 ლაიმა კლავინა, დასახელებული ნაშრომი.

24 ლაიმა კლავინა, დასახელებული ნაშრომი.

25 Фотографии Д.И. Ермакова, каталог фотографических видов и типов Кавказа, Персии, Европейской и Азиатской

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ადიშის სახარების შესახებ იხილეთ ე. თაყაიშვილის წერილები პ. უვაროვასადმი, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მიკროფილმების სახით დაცული უვაროვას იმავე ფონდში (N105, N123, N124, N127).
2. თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს. პარიზი, 1938.
3. თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. პარიზი, 1937.
4. ლაიმა კ., იული სტრაუმე, გამოყენებითი ხელოვნების ოსტატი. ლატვიის სახელმწიფო არქივი. გამომცემლობა „ZINĀTNE", რიგა, ლატვია, 2004.
5. ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერა (1888-1931 წწ.). თბილისი, 1991.
6. ოქონის ხატისა და ტბეთის სახარების შესახებ იხილეთ ე. თაყაიშვილის წერილები პ. უვაროვასადმი. ორიგინალები დაცულია მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმში, ხოლო მიკროფილმების სახით კი საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში პ. უვაროვას ფონდში (N101, N102, N103).
7. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, $II_2$, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის კოლექციისა. თბილისი, 2004 (გვ. 87-89).
8. Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества (ИКОМАО), вып. III, Тифлис, 1913 г., протокол №35.
9. Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества (ИКОМАО), вып. III, Тифлис, 1913 г., протокол №34.
10. Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества (ИКОМАО), вып. III, Тифлис, 1913 г., протокол №53.
11. Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества (ИКОМАО), вып. III, Тифлис, 1913 г., протокол №55.
12. Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества (ИКОМАО), вып. IV, Тифлис, 1915 г., протокол №74.
13. Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества, (ИКОМАО), Тифлис, вып. I (1904 г.), вып. II (1907 г.), вып. III (1913 г.), вып. IV (1915 г.) вышли под общей редакцией Л.Г. Лопатинского и Е.С. Такаишвили; вып. V (1919 г.ж) вышел под общей редакцией Л.Г. Лопатинского и Л.М. Меликсет-Бекова, и последний выпуск VI (1921 г.) под общей редакцией Л.М. Меликсет-Бекова и Д.П. Гордеева.
14. Материалы по Археологии Кавказа (МАК), вып. XII, Москва, 1909.
15. Материалы по Археологии Кавказа (МАК), вып. XIV, Москва, 1916.
16. Материалы по Археологии Кавказа (МАК), вып. IV, Москва, 1894.
17. Фотографии Д.И. Ермакова, каталог фотографических видов и типов Кавказа, Персии, Европейской и Азиатской Турции, Тифлис, Паровая типография Штаба Кавказского военного округа, 1896.
18. Фотографии Д.И. Ермакова, каталог фотографических видов и типов Кавказа, Персии, Европейской и Азиатской Турции, продолжение каталога 1896 года, Тифлис, Паровая типография Штаба Кавказского военного округа, 1901.


---

Турции, Тифлис, Паровая типография Штаба Кавказского военного округа, 1896 г.; Фотографии Д.И. Ермакова, каталог фотографических видов и типов Кавказа, Персии, Европейской и Азиатской Турции, продолжение каталога 1896 года, Тифлис, Паровая типография Штаба Кавказского военного округа, 1901 г.

# D. ERMAKOV'S LETTERS TO COUNTESS PRASKOVIA UVAROVA

***Ilia Nadimashvili***
Society of Grigol Lortkipanidze, Georgia

## ABSTRACT

*Dimitri Ermakov's facsimile letters to Prascovia Uvarova, the chairperson of "Moscow Imperial Archaeological Society" reflect business relationship between the photographer and the "Archaeological Society".*

*Already from 1880, Dimitri Ermakov had taken photos of historical and archaeological artifacts for the "archaeological Society" through a famous historian and archaeologist Dimitri Bakradze, and since 1892 D. Ermakov continued work for the Society directly under the guidance of Countess Praskovia Uvarova.*

*Ermakov repots P. Uvarova, with the punctuality characteristic of him, about the carried out photographic work and its financial aspects. Some of the information relates to the details photographing such unique as Okoni Icon, Tbeti and Adishi Gospels.*

*The letters also narrate about the historical and architectural monuments of Tbilisi and Mtskheta. The relationship between Dimitri Ermakov and the prominent scientist, the founder and president of the Georgian Historical and Ethnographical Society, Eqvtime Takaishvili is expansively reflected, especially during their fabled expedition in 1910.*

*The reader will also encounter the information about other scientist in the letters too – like the well-known linguist and Caucasiologist, Lev Lopatinski, who had been an irreplaceable leader of the Georgian Department of the Moscow Imperial Archaeological Society. Just like, more members of the same Society – Lev Stanishevski, Simon Kldiashvili; also, a painter and photographer, Iuli Strume.*

*The originals of the letters are retained at the Moscow State Museum and their microfilms are at the National Center of Manuscripts of Georgia. The given letters represent an important source for the researchers of Dimitri Ermakov's works as well as the interested parties.*

**KEYWORDS:** DIMITRI ERMAKOV, PRASCOVIA UVAROVA, EQVTIME TAKAISHVILI, OKONI GOSPEL, TBETI GOSPEL